№ 27. 10 (22) ივლისი 1870 10 (22) ივლისი № 27.

გაზეთის ფასი

| ტფილისში და გა-... ადგილებში: | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
| --- | --- | --- |
| ...წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ...წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| ...თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ...თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ...ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

...რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ...და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე-...სოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ...ზე 1/2 კაპ.

„...როებაˮ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში — „დროებისˮ რედაქციის კანტორაში, მელი-ქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაშიˮ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

შინაარსი:
...თფილისი, 10 ივლისს 1870—საქართვე-...(რკინის გზა ფოთიდან თფილისამდი.—ამგე-...სამღვდელოების კრება იმერეთში)—რუსეთი ...ბები)—ნარევი—უცხო ქვეყნები (პრუსსიის ...იერებ, გერმანიაში).
ფელტონი:—რამდენიმე სურათი ჩვე-...ხალხის ცხოვრებიდგან (თ. რ. ერისთავისა).

თფილისი, 10 ივლისს 1870.

...საქეთია რაც პრუსსიამ 1866 გერმანიაში ...ველი ადგილი დაიკავა, საფრანგეთის მმარ-...ლობა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, ...მ როგორმე პრუსსია დაემცირებია. ევრო-...ში ყველამ იცოდა, რომ ნაპოლეონი ამ ...ანასკნელ ოთხ წელიწადში საომრათ ემზა-...ებოდა. ეხლა, როგორც სჩანს, საფრანგეთი ...თ ყოფილა, და—რაღა თქმა უნდა—ომის ...ეზი იმას არ შემოელეოდა. ერთის მაგი-...თ, დღეს იმას ორი მიზეზი გამოუძებნია. ...პირველი მიზეზი ისაა, რომ ესპანიის გაუ-...ულ ტახტზე ესპანიის მმართებლობას პრუ-...ს ხელმწიფის ნათესავის აყვანა მოუნდო-...ა. ნაპოლეონის მომხრეები, რასაკვირვე-...ა, ამბობენ, რომ ეს შემთხვევა საფრანგეთს ...მცირებსო, რადგანც მაშინ მას აღმოსავ-ლეთით პრუსსია ეყოლება მტრათ, და სამხ-რეთით—ესპანია, რომელშიაც ტახტზე პრუს-სიის მთავარი იჯდებაო. ამის გამო საფრან-გეთმა უსათ ოთ, რაც უნდა გახდეს, უნდა დაუშალოს ღოღენცოლერის მთავრის (პრუს-სიის ხელმწიფის ნათესავს ეს გვარი ქვია) შე-სვლას ესპანიის ტახტზეო.

მეორე მიზეზი უფრო დახლართულია. გერ-მანიიდან და საფრანგეთიდან იტალიაში ხმე-ლეთით სამი გზა მიდის. ერთი საფრანგეთის ხელშია (მონ-სენის); მეორე (სიმპლონის) გზაზე, რომელიც შვეიცარიას ეკუთვნის, სა-ფრანგეთის კამპანია (ლავალეტ და კამპ.) რკი-ნის გზას აშენებს.

როცა ეს გზა გაშენდება, რაც ჩრდილო-ეთელ იტალიაში საქონელი გადის, სულ სა-ფრანგეთის ფაბრიკებიდან გაიზიდება.—პრუს-სიის მმართებლობა, რასაკვირველია, გერმა-ნიის ფაბრიკების მომავალზე დაფიქრდა, და გერმანიიდან იტალიაში მესამე გზა რომ გა-დის (სან-გოტარდის), ზედ რკინის გზის გაშე-ნება მოინდომა, იტალიის და შვეიცარიის და-ხმარებით. *)

*) ამ სამი გზის გარდა, ერთი კიდევაა შუაგულ ევროპას და იტალიას შუა: ტიროლის გზა (მუნხენი-დან ვერონამდი), მაგრამ ეს გზა უფრო ავსტრიას ეკუ-თვნის და მისი ფაბრიკებისთვისაა გამოსადეგი.

საფრანგეთის მმართებლობამ თავი მოიკლა, პრუსსია სან-გოტარდის გზის გაშენებას რო-გორ ბედავსო, და ამ შემთხვევაში საფრან-გეთის ვაჭრები და ფაბრიკანტები მისი აზრის არიან.

. . . . . . . . . . . . . საქმე იმა-შია, რომ ნაპოლეონს სამძღვარ გარეთ გამარ-ჯვება სჭირია, რომ ამ შემთხვევით შინ ხალხს თავი შეაყვაროს, და თავისი ტახტი დაამკვი-დროს. და რაკი ეხლა ის საომრათ მზათ ყო-ფილა, მიზეზების შოვნა მას აღარ გაუჭირდება.

აი, ცხადი და ნამდვილი მიზეზები იმ ომის, რომელიც ეხლა ნაპოლეონს პრუსსიასთვის გამოუხადებია.

## საქართველო

### ჩვენი საზოგადო საქმეები.

(რკინის გზა ფოთიდგან თფილისამდი)

უკანასკნელმა ომებმა ამერიკაში და გერ-მანიაში მთელ ქვეყანას დაანახვეს, რომ ჩვენ დროში ურკინის გზოთ ომის მოგება ძნელი და თითქმის შეუძლებელი საქმეა. უწინ რომ ჯარი რამდენიმე ასს და ათასს ვერსს ქვევი-თათ გაივლიდა, თან თავის იარაღს, ზარბაზ-ნებს, საჭმელს-სასმელს და ხორაგს მიათრევ-და, და მტერს ისე ეომებოდა, ეხლა ამ ნაი-რით ჩხუბის მოხდენა აფრიკაშიაც შეუძლე-ბელი საქმე გამხდარა, არა თუ ევროპაში. ეხ-ლანდელ ზარბაზნებს და თოფ-იარაღს, ეხლან-დელ ჯარის გაწყობილებას რკინის გზითაც ძლივს მიათრევენ. ამას გარდა, ეხლანდელ ომში აუცილებლათ საჭიროა, რომ მეომარ ჯარს ნიადაგ და უცფათ მოდიოდეს შინიდ-გან დახმარება და საჭირო საგნები, ან, უფ-რო სწორეთ ვთქვათ, საჭიროა რომ მთავრო-ბას სახელმწიფოს შუა-გულ ადგილიდგან სამ-ზღვარზე ჯარის და ომის იარაღის უცფათ გა-ზავნის შეძლება ჰქონდეს.

აქედგან მკითხველი დაინახავს, თუ რა აუცილებლათ საჭიროა არის ჩვენ ქვეყა-ნაში რკინის გზის გავლება რუსეთიდან თფილისამდი და თფილისიდან ფოთამდი. მა-რთლაც, რაკი მთავრობამ ეს საჭიროება იცნო, იმას აღარაფერი საშუალება დაუზოგავს ამ უკანასკნელი გზის გამართვისათვის.—

სხვა და სხვა მიზეზების გამო, მთავრობამ 1866-ში საჭიროთ იცნო ერთ ინგლისელ კამ-პანიას გარიგებოდა გზის გაშენებისთვის. მთა-ვრობამ მიწის მუშაობა და ხიდების გაწყობა თვითონ იკისრა: იმას უნდა გაევლო მიწის გზა, იქეთ აქეთ ორმოები ამოეღო, და ისე

---

## ფელტონი

### რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან

IV *)

(ერთს ტყნიან გვერდაზედ მოჩანს სიპი ქვით, თუმ-...ურით, ნაგები სალოცავი; გულშამო დაბალი ...რე ავლია; რამოდენიმე მინდორიც მოჩანს; აქ არის ...რილი ფშაველების ერთი თემი, ყორეს გარეთ ქალე-...და ყორეს შიგნით—კაცები. ზოგნი მათგანნი ჩიბუ-...ს სწევენ. სალოცავის გვერდზედ დგას დიდროანი ...ბი და კასრები ლუდით და არაყით სავსე. ამ სალო-...ს ხატობის დღეა. მიდიან ამათი ხუცესი და დეკანო-...ანთებენ სანთლებს პურებზედ და კოდებზედ).

...უცესი (მოჰყვება ლოცვას). დიდებაა ღმერ-..., მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღე-...დილსა, დიდება რჯულსა ქრისტიანთასა ...რთალსა, დიდება მზესა და მზის მყოლს ...ლოზსა, დიდება დიდს კვირაეს, მაღლის ...ის მოკარვესა!..დიდება შენდა გამარჯვება ...ისაგან გმირო კოპალე და ლაშა იახსა-...ა! შენ გადიდოს ღმერთმა, გაგიმარჯოს, ...ნის შეძლებ-გადენისა, შენი მორიგე ღმერ-... არ მოგიწყენს, არ მოგიძულებს შენ, დღეს, ...ნ მეხვეწურს ნუ მოიწყენ, ნუ მოიძულებ! ...ახდენ—გაუგონიდი, გეხვეწებოდენ—შეიხ-...ნიდი; თავობის წყლისად გეხვეწებოდეს—...ლს მოუმატიდი, პურს მოუმატიდი...ამათს ...ულოშია: პურის მჭამელსა, წყლის აკვან-...აჯრის ამღებსა, მეკვამურსა,—შენს ...ენსა და ულუფას მოემატება შენმა გა-...რჯვებამ!...იწროს იყოს—ფონს გამოასხმე-...ს სნეულს გახვეწებდეს—სნეულს ულხინ-...სხვა ღთის შვილი თუ რას უმრუდობ-...—მადლი მოუთხოვიდი, შენი კაბის კალ-...ადაუფარიდი, თუ რა ღთის იასაული გა-მოვიდოდეს ღთის ბრძანებითა, კვირაის სარ-დლობითა, ხორციელს ბეგრევდეს, ყალანს ჰკრეფდეს,—ამის ყუდროს ნურას მოჰკერძი-დი, სხვა გზა და შარა გაასწავლიდი, სხვა ალაგ ქალაქი უჩვენიდი, თუ როდისმე ველთ გა-ვიდოდეს, აბჯარ აიღებდეს, შენი დოვლათი დაახმარიდი, მტერს მისდევდეს—მისწიეიდი, მოსდევდეს—მტერს გამოახვეწიდი!..ავის დღი-საგან, ლაღის მტრისაგან, მწარის სიკვდილი-საგან—იხვაიშნიდი! შამოგივიდოდეს—ნების ოფლი აუტანიდი, ეს ზაფხული მშვიდობით გადააყრიიდი, სთველი მხრიან-ბარაქიანი დაუ-ყენიდი, ხარის და უხრის ნამაშვრალს ჯვა-რი დაუწერიდი, თუ რა შეგცოდოს, თუ რა შეგაწყინოს—ძღვნითა და სანთლით გადაახ-დიიდი, მტრის ძალსა, სიკვდილის ხმასა ნუ-რას მოაგონიდი!—შველდი, სწყალობდი, ჰსცე-ვდი, ჰფარევდი!...თუ რა შეგცოდოს, თუ რა შეგაწყინოს, პირის ქარითა, ფეხის ჩქამითა—შეუნდვიდი, აგრემც გაგიმარჯვება!..შენ, ამა-თი, ამათი თავჯალაბობისა, ორფეხ, ოთხფეხი-სა, კაცისა, საქონლისა, ქუდოსან, მანდილოს-ნისა მშველელი, მწყალობელი, წლმა მდეგ იქმნები, ბატონო, ისმინე და გაიგონე დიდო ხელმწიფეო და ღირსეულო შეიწირე!!..

(შემდეგ ამ ლოცვისა პირველათ ხუცესი დაჰლევს იმ კოდიდგან, შემდეგ დეკანოზები და შემდეგ ხალხს მოუტანენ და თვითო-თვითოს ასმევენ. შემდეგ დასხ-დებიან და დაიწყებენ ხორცისა და ქადების ჭამას და ძალზედ სმასა. ცოტას ხანს უკან ისმის სიმღერა:)

ერთს მხარეს:

„ფშაველი ვარ და ფშავს წავალ,
იქა მყავს დედის ძმანია!...ˮ
თათაიო!...

მეორე მხარეს:

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო,
პატარა ქალსა ლამაზსა სისხლისა ცრემლნი სდიანო!.ˮ

მესამე მხარეს:

„თესლი თქვენი სჯობ არწივნო, ფრინველს თქვენ უნდა ფერებად,
დაგიჭერიათ ხოხობი, ბატონთან მიგყავსთ ჩვენებათ,
რღილი გიბოძათ ბატონმა, ყელზედ ჩაგიდვათ ქლე-რებად.
მამასა შენსა ჰყავნდიან ვეფხვნი და ლომნი ნადირად,
იმისი შვილი შენა ხარ, ირმებს მოიყვან წადინად,
მოეწეოდი, მოჰკლავდი, რა მალე ყუზამ ადვილად...
შენ, ჩვენო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,
ისარო ოსეთს ნახვეწო, ქალაქს ნალებო ინითა,
პაპაო ხევერდისაო, ცხრაკან საყვრელო რღილითა,
უკვდავებისა წყარო ხარ, ალმოსდი ოქროს მილითა!...

ერთი ფშაველი (გაღმა მჯდომარე ფშა-ველს), ვაჟიკა! ა, ვაჟიკა!.

მეორე ფშაველი. რაიო, რაი?..

პირველი ფშაველი. აქ მოდი, შე-ნი კვნესამე, ერთი მათარა ლუდი შესვი...

მეორე ფშაველი. აღარ მინდა, გულს მემძიმების!..

პირველი. მოდი, ვაჟო, რა იქნების?

მეორე ფშაველი (წამოდგება და ბარბა-ცით) „ფშავე...ლი...ვარ და ფშავ...წა...ვალ... შენც ჩეგარცხვე...ნა, ჩე...ნი...ლოუ...დი...ცა!..

პირველი ფშაველი (წამოხტა და მი-აშურებს მეორეს). ა, ჩე წუნკალავ!...ვის უბედავ გინებას?!..

მეორე ფშაველი. (სათითურს შემოჰკ-რავს). ეგეც ჩენა!.. (ქშინვით). ა, ფფუუ! ა, ფფუუ!..

პირველი ფშაველი (დაშნას ამოიღებს და შაუტევს მეორეს). გამიჩვით!..გამიჩვით!..

(შეიქნება ჩხუბი; ყველა ფშავლები დაერევიან ერ-თმანერთსა; ქალები აზავებენ).

V.

(ხევსურს მოჰკლომია ძმა; მგლოვიარობს. თვალე-გამღის ქუდი ჩამოუფხატავს, წვერი მოუშვია, საყე-ლო ჩამოუხევია და გულ გალეღილი ზის. შორი ახლო მეზობლები სხედან და ჩიბუხსა სწევენ, ზოგი წვერსა ჰლეჯავს.—ერთი მეზობელი მოვა მოსატირებ-ლათ, რომელსაც ისინი ეძახიან „ჭირისწყენასˮ, დაი-ჩოქებს ჭირისუფალთან და მოსთქვამს:)

მომტირალი. რად არ ჩემი თავი მო-გიკვდა, სანამდი ეგეთს გნახევდი?!

ჭირისუფალი. შენის მტრისა და დუშ-მნისა!

მომტირალი. დიდი ცოდვა ბრალი არის, დიდი ღთის წყენა, შენი გული დასწუხ-დებოდეს, შენ კაცი დაგაკლდებოდეს, მიწას ჩეიფარებოდეს, ჩემ კვალი კაცი მზეს იარე-ბოდეს, სიტყვას გეტყოდეს...

ჭირისუფალი. რა კაი დაგვცდების, შენს გამარჯვებას?...რაის კაისად ვართ?—ცოცხალი—დიდის ჭირისა და სირცხვილისად ვართ; მომკვდარი, ქვე მოვისვენებთ, მოვრჩე-ბით ჭირით ყოფნას, გულის ღონებას...ჩვენი სიკვდილი დასამალავია...

მომტირალი. უკეთესის კაისად არავინ არის რომ თქვენ ხართ: მამანი—საბატონო-ნი, დედანი—სადედუფლონი...მეტობა დაგ-ცდებისთ, დიდი სახლი, დიდი ცხენი და აბ-ჯარი, ჯარის თაობა, ხევსურთ წინა მძღოობა!.

ჭირისუფალი. ღმერთიც დაგიმადლებსთ: შეგბრალდებით ბეჩაობით!...ჩვენ მზე დაგვცდების სხვათ სწორი...თქვენ რომ სიტ-ყვას იტყვით, იმად არა ვღირვართ!...

მომტირალი. ღმერთმა თავად ნუ და-ულიოს, ვისაც თქვენდა ეგ გეხვეწებოდეს და ძალიან არ სწყინდეს, აის რომ, თავის შინით, თქვენ დღეის ამას იქით ნება ფონი მოგცესთ, ავი ნულარა დაგალიროსთ...

ჭირისუფალი. ღმერთმა ნურა ავი მიმიცეს შენს თავს!...

მომტირალი. (წამოდგება და მიდის ტი-რილით). ა, ვა, ვა! ა, ვა, ვავა, ვა, აი!...

(ცოტას რომ გაივლის, მოუბრუნდება, სხვა ხევსუ-რებთან დაჯდება და ჩიბუხს გაიკეთებს.—ერთი ხევ-სური ჰკითხავს ნამტირალევ ხევსურს).

ბარაზიკ! ჭირისწყენისა მოსაფონებლათ თუ მობძანებულხარ?

ბარაზიკი. (პასუხად) გულს მეწუხების!.. ცრემლის გვირაბნი დავსახიენ!...(სწევს ჩიბუხს) იმის სულის შესანდობარ იყოს....

თ. რაფ. ერისთავი.

*) „დროებაˮ, 1870, № 20. ეს გავლილი ...ების სურათებია.

გაესწორებინა, რომ კომპანიას რელსების დაწყობის, სტანციების გაშენების და კარეტების და მაშინის დაყენების მეტი არა დასჭირებოდა რა. მიწის მუშაობა, ხიდებით, რკინის გზისთვის მთელი ხარჯის ნახევარზე მეტს თხოულობს. მაგრამ მთავრობას იმისთანა გულით სურდა ჩვენში რკინის გზის გამართვა, რომ ამოდენა შემწეობა მისცა კამპანიას. ზამართული გზა კამპანიის საკუთრება იქნებოდა.

მაგრამ მმართებლობის მხურვალე სურვილი ისე უცფათ ვერ შესრულდა, როგორც თვითონ იმას და მთელ საქართველოს და რუსეთს სურდა.—მიწის მუშაობა და ხიდების გამართვა დანიშნულ ვადამდი ვერ მოთავდა, . . . . . . . . . . და უმაღლესმა მმართებლობამ საჭიროთ დაინახა მთელი გზა კამპანიისთვის გადაეცა იმ მდგომარეობაში, როგორშიაც ის ეხლაა, და თავისი წილი მუშაობისთვის მიეცა ხუთი მილლიონი ცხრა ას ათასი მანეთი ოქროს ფულით, იმ პირობით, რომ თვითონ კამპანიამ უნდა აწარმოვოს, თავისი ხარჯით, ყოველ ნაირი მუშაობა, და რკინის გზა გამართოს 7 აპრილისთვის 1872 წ.

ეხლა, როგორც სჩანს, უფ. პაუერს და პროულეს, რომელნიც ინგლისელი კამპანიის უმთავრესი წევრები და გამგებლები არიან, მოუნდომებიათ, რომ მმართებლობამ იმათ „ვიწრო რკინის გზის“ გამართვის ნება მისცეს. ვიწრო რკინის გზა იმითი განირჩევა ჩვეულებრივიდგან, რომ რელსები ერთმანერთთან ცოტათი უფრო ახლო არიან დადებულნი, და მაშასადამე ზედ კარეტები და მაშინაც უფრო ვიწრო და იაფ-ფასიანი დაიარებიან.

ამ საგანზე კავკასიის ტეხნიკურ საზოგადოებაში ბაასი ატყდა, და მის თავ-მჯდომარემ (უფ. ზერსევანოვმა) ვიწრო რკინის გზის გამართვის წინაალმდეგ, სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ ცუდი იქნება რუსეთის გზის კარეტები და მაშინები რომ ვერ გადაიდენ პირდაპირ ფოთის გზაზეო, თუ ამ უკანასკნელს ვიწროთ დაწყობილი რელსები ექნებაო.

უფ. ლალინი როდი ეთანხმება ამ აზრს. ის სწერს „კავკასში“ (№ 73), რომ აქამომდი ფოთის რკინის გზას ძალიან ცუდათ მოუხდა „სტრატეგიული“ (ესე იგი სამხედრო, საომარი) წინაწარჭვრეტაო. ამის დასამტკიცებლათ უფ. ლალინს შემდგომი მაგალითები მოჰყავს.

რკინის გზა რიონის მარცხენა (გურულ) მხარეზე რომ გაეყოლათო, ფოთიდან თფილისამდი ათიოდე ხიდის მეტი არ დასჭირდებოდაო, ამიტომ რომ რაც გურიის მთებიდან რამე წყალი ჩამოდის, სულ ყველა ერთხევება ფიჩორას, რომელიც პალიასტომის ტბაში ჩადის. მარჯვენა (ამეგრელოს) მხარეზე რკინის გზის გასაკეთებლათ კი სამოცდა თექვსმეტი ხიდი უნდა გაშენებულიყოო. მაგრამ, მაინც მარჯვენა მხარეზე გაავლეს გზა, ვითომ და იმიტომ, რომ სათათრეთიდან შემოსული მტერსა და გზას შუა რიონი დაეტოვოთ, და მით გზის აღება და წახდენა გაუძნელოთო. მაგრამ, ამბობს უფ. ლალინი, რიონში კაცი, უმეტესს ნაწილს, ფონათ გავა...

რკინის გზა ქუთაისს იმიტომ ააცილეს, რომ ორპირი სტრატეგიულ ადგილათ იცნეს და იქ ციხის გაშენებას აპირებდნო. მაგრამ მერმე დამტკიცდა, რომ ორპირს ციხე უსარგებლო იქნებოდა, და გზა კი ქუთაისზე აცილებული დარჩაო, თუმცა, როგორც ამტკიცებს უფ. ლალინი, ქუთაისზე გზის გავლება უფრო ადვილათ და იაფათ მოხერხდებოდა, რადგანაც ეხლა გზა მდაბიო ადგილზე გადის, და წამის წუმ წყლის გადიდებაზე ხდებაო...

უფ. ლალინი, რკინის გზის გაშენების დროს, პირველი განყოფილების (ფოთიდან-ქუთაისამდი) უფროსი ინჟინერი იყო. ცოტა ხნის შემდგომ ის გადმოიყვანეს იმავე თანამდებობაზე მეორე განყოფილებაში (ქუთაისიდან სურამამდი). მაშასადამე, იმან ალბათ კარგათ უნდა იცოდეს იმ საქმის გარემოება, რომელზედაც სწერს. მაგრამ, ჩვენ არ შეგვიძლია არ დაუმატოთ აქ, რომ რკინის გზის საქმეში მარტო სტრატეგიას კი არ ჰქონია გავლენა...

უფ. ზერსევანოვს და მის დამცველს, უფ. შავროვს, ნამეტნათ როდი გაუჭირდებათ დაამტკიცონ, რომ ამ შემთხვევაში დანაშაული ისეც იყო, რომ გზის გამშენებლებში ბევრი ისეთი წვრილმანი პირები ერია, რომელთაც იქნება არც კი იცოდენ, სასმელია რკინის გზა, თუ საჭმელი...

---

8 ივლისს თფილისმა სიხარულით იხილა და მიეგება უაუგუსტო სტუმარს, მისს იმპერატორებითი უმაღლესობას, დიდ მთავარს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, რომლის ეს პირველი მობძანებაა კავკასიაში.

„კავკაზი.“

*

მოსკოველ გაზეთს „*Русскія Вѣдомости*“ (124) აქაურ სასამართლო წესისთვის ყურადღება მიუქცევია.—მისი ანგარიშით, ჩვენ სასამართლოებში ოცდა თორმეტი ათასამდე იხარჯება მთარგმნელების ჯამაგირათ, და რადგანაც თითო მთარგმნელს ორმოცდა ხუთი თუმნის მეტი ჯამაგირი არ ეძლევა, აქედან სჩანს, რომ მთარგმნელები ნამეტნათ განათლებული ვერ იქნებიანო; მაშასადამე, საქმის განხილვის დროს, მათი ბრალით, ბევრი შეცდომა და უსამართლობა შეიძლება მოხდესო. ამ აზრის დასამტკიცებლათ, გაზეთს ის გარემოება მოჰყავს, რომ შარშანდელი წლის განმავლობაში თფილისელ ოლქის სასამართლოს ას ორმოცდა ცხრამეტი გადაწყვეტილება დაურღვევია მარტო თფილისის მაზრის (ქალაქის და უეზდის) მომრიგებელი მოსამართლეების.

„რითი და რანაირათ შეიძლება მოსპოს კაცმა ის მიზეზები, რომელნიც კავკასიაში ასე მძიმეთ უშლიან მომრიგებელი სამართლის სწორე წარმოებას, და თან ხაზინასაც ნამეტანი ხარჯით ამძიმებენ? კითხულობს ხსენებული გაზეთი, და ზედვე უპასუხებს: სრულიად უეჭველი საქმეა, გამომძიებლები, მომრიგებელი მოსამართლეები და მათი თანაშემწენი კარგათ გაჩვეულნი რომ იყვნენ ადგილობრივ ენებში, სასამართლო გარჩევის საქმე კავკასიაში ძალიან გაადვილდებოდა, და მაშინ დავა და საჩივრები უფრო სამართლიანათ გადაწყდებოდა...“

*

ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს ბორიდან, რომ რკინის გზის კეთება ცოტათი არ იყოს ქართლსაც დაეტყო. შარშანდელი უპუროებით გაჭირვებულ გლეხებს ცოტაოდნათ სულის მობრუნება შეეძლოთ ამ გზაზე მუშაობითო. რკინის ხიდების გადმოზიდვა ფოთიდან ქალაქამდი ორ იმერელ თავადიშვილს აუღიათ, სამხანაგოთ ერთ რკინის გზის ჩინოვნიკთან, ფუთი ოთხ აბაზ ნახევრათ. ზადმომზიდველ გლეხებს ისინი თურმე ფუთში სამაბაზს აძლევენ. საუბედუროთ გლეხები, განსაკუთრებით დოლლაურელები, ფოდრიაჩიკებს ენდურებიან, თავის დროზე ფულს არ გვიხდიანო.

*

მეორე ფოდრიაჩიკს, რომელსაც იმავე გზისთვის ხის ტრავერსების დამზადება აუღია ნარდათ, თ. ამირეჯიბის ტყე დაუქირავებია. თითო ხის მოჭრაში იმან ოთხ-აბაზ ნახევარი უნდა გადაიხადოს, ბევრი ტრავერსი გამოვიდეს შიგ, თუნდ ცოტა. ამითი ვითომ იმედი აქვს ტყის პატრონს, რომ ფოდრიაჩიკი წვრილ ხეებს არ მოსჭრის და ტყეს სამუდამოთ არ გადააშენებსო.

ჩვენ გაგონილი გვაქვს, ვითომ თ. ამირეჯიბის ტყის მეტი სურამის ხეობაში დასახლებულ გლეხებს შესავალი ტყე არა აქვთ. სურამელების გარდა, ამ ტყეში საჩხერლბიც შედიოდენ თურმე.

*

იმავე კორრესპონდენტის სიტყვით, ივნისის დამლევს რომ წვიმები იყო, გზა საშინლათ წაუხდენიათ, ასე რომ თფილისელი ფოჩტა ძალიან იგვიანებდა, რამდენჯერ თურმე მთელი დღეც დაუგვიანებია.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

## სამღვდელოების კრება იმერეთში

22 ივნისს ყრილობა ქონდა ქუთაისში იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას შკოლის გაუმჯობესობის თაობაზე. ეს ყრილობა მესამე არის დ წყებიდამ. პირველი და მეორე ყრილობა იმერეთის სამღვდელოებისა ამავე საგანზედ საკმაოდ იყო გამოცხადებული ამას წინეთ „დროებაში“ და „მნათობში.“ ყრილობა იყო დანიშნული 21 ივნისს, კვირა დღეს (ჩემის ჰაზრით, როგორც გავს, 21 დღე შეცთომით იყო დანიშნული, ნამდვილად უნდა ყოფილიყო 22 ივნისი] როგორც მეორე კრების დროს, ეგრეთვე ამ კრებაზედაცა, დანიშნულ დღეს ვერ შეიკრიბენ ყველა დეპუტატები. ბოლოს, შეიკრიბენ თუ არა ყველა დეპუტატები-მღვდლები, ამოირჩიეს თავმჯდომარეთ ისევე დეკანოზი ზამრეკლოვი. კრება ოთხი დღე გაგრძელდა. როგორც მეორე კრება განირჩეოდა პირველი კრებისაგან თავისი უმჯობესი მიმართულებით, ეგრეთვე მესამე კრება განირჩეოდა მეორე კრებისაგან. შკოლის სასარგებლოდ ფულის გარდახდა სამღვდელოებას ისე დასამძიმებლად აღარ მიაჩნდა მესამე კრებაში, როგორც პირველში და მეორეში. ეხლა სამღვდელოება თვითონვე ცდილობს, რომ საიდანმე გამოძებნოს შკოლის სასარგებლოდ ფულის შემოსავლის წყაროები. იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ამ კრებაშიაც რამოდენიმე სიტყვით განუმარტა დეპუტატებს საგნები, რომელზედაც მათ უნდა ებაასნათ. სხვათა შორის მან გამოუცხადა სამღვდელოებას, რომ მას კიევის სასულიერო კანსისტორიისაგან ერთი პროექტი დაუბარებია ბლაღოჩინების კენჭით აღრჩევაზე. ყოვლად-სამღვდელომ გამოუცხადა სამღვდელოებას, რომ ბლაღოჩინის კენჭით აღრჩევის დროს მღვდლებს უსაუთოთ უნდა ჰქონდესთ სახეში ორი მიუცილებელი საჭირო თვისებაები ბლაღოჩინებად აღრჩეულთა პირთა: აღრჩეულნი უნდა იყვნენ რასაკვირველია კარგის ზნეობისა და ამას გარდა ნასწავლნი, რომ საკმაოდ იცოდნენ და შეეძლოსთ ბლაღოჩინობის აღსრულება. წინაალმდეგ შემთხვევაში, თუმცა სამღვდელოებამ ბლაღოჩინებათ იმისთანა მღვდლები აღარჩია, რომელნიც თავისი დანიშნულების ღირსნი არ იქნებიან, მათი დაყენება ბლაღოჩინად არ შეიძლებაო...

ბოლოს ყრილობამ გასინჯა ის პროექტი, რომელიცა იყო კიევის სასულიერო კანსისტორიისაგან გამოგზავნილი. სამღვდელოებამ თავისებურად გარდააკეთა ის პროექტი. პროექტში იყო ნათქვამი: ბლაღოჩინი ხუთი წლის ვადით უნდა იყვნენ აღრჩეულნი; იმერეთის სამღვდელოებამ გარდასწყვიტა, რომ აღრჩეულნი ბლაღოჩინები უნდა იყვნენ სამ-სამი წელიწადი. პროექტში იყო ნათქვამი, რომ ბლაღოჩინებად უსათუოდ უნდა იყვნენ აღრჩეულნი სემენარიაში კურსის დამსრულებელნი; იმერეთის სამღვდელოებამ, ვინაიდგან აქ ნასწავლნი მრავალნი არ არიან, ითხოვა, რომ მიეცეს ნება ბლაღოჩინად კენჭით აღრჩევისა უსწავლელ პირებთაც.

ამბობდნენ, ზოგიერთნი რომ ყოვლად სამღვდელო არ ინებებს უსწავლი პირების ბლაღოჩინად კენჭით აღრჩევას, მაგრამ როგორც ვგონებ, ამის მთქმელნი შემცთარნი არიან. ვინაიდგან მთავრობისაგან ნება ეძლევა იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას ბლაღოჩინების კენჭით აღრჩევისა, რასაკ... ველია უნდა იქმნენ აღრჩეულნი უსწავლ... ნიცა.—

ყრილობამ უმთავრესად ოთხ საგან... მიაქცია ყურადღება და მათზე ჰქონდა მ... ლობა. პირველი საგანი იყო ბლაღოჩინ... კენჭით აღრჩევა; როგორც ზემოთ ვსთ... ყოვლად სამღვდელო დათანხმდა ბლაღ... ნების კენჭით აღრჩევაზე, მაგრამ სამღვდელ... ბამ სთხოვა მას, რომ ვინაიდგან ნასწავ... პირნი ბევრნი არ არიან, მიეცეს ნება უს... ლელ პირთაცა ბლაღოჩინად აღრჩევისა, ... მელზედაც შეადგინეს ჟურნალი....

მეორე საგანი იყო ის, თუ საიდამ გამ... ხონ საშუალება კიდევ რამოდენიმე ფუ... შეწევნისა შკოლის სასარგებლოდ. ამ... ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს დასდე... დევ ორას რვა მანეთი, რომელიცა უნდ... უვიდეს შკოლას იმ ეკკლესიებიდამ, რომ... საცა ცოტა ბარაქიანად ფული შესდის.

ბევრი ილაპარაკეს რომ კიდევ გამონ... წყარო ფულის შეწევნისათვის შკოლის სარგებლოდ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ერთი... შუალების მეტი ვერა გამოიგონეს რა. ... ხმად გარდასწყვიტეს, რომ გარდაახდევ... თითო მანეთი ყმაწვილზე ყოველ მღვდ... რომელსაც სამოცდა ათ კომლზე მეტი ... რია მრევლათ, და შვილი სასწავლე... ში ყავს,

ბოლოს სთხოვეს ყოვლად სამღვდ... რათა მიცეს ნება ბლაღოჩინებს, მღვდ... და დეპუტატებს, ეკკლესიის ფული გაას... სოფელში სარგებლით, რაც ეკკლესიას ... ლი რჩება. დღეს სადაც ფულები არის ... ლის ეკკლესიებში, თუ ეკკლესიებს არა ... დებათ, პრიკაზში იგზავნებიან სასარგებლ... სადაც სამი ანუ ხუთი სარგებლის მეტს ... იღებს ეკკლესია. აქ სამღვდელოება პირ... მთავრობას, იმ სარგებლის შეტანას, რო... ლიცა პრიკაზიდამ იქნება აღებული ეკ... სიის სასარგებლოდ, და ერთ იმდენს კ... შკოლის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელ... მეოთხე უმთავრესი საგანი იმათი ბაასო...

იმ უკანასკნელს დღეს, როდესაც ყრილ... ბაასობა სრულდებოდა, თავს-მჯდომარე ... კანოზმა ზამრეკლოვმა შემოიტანა ყრი... ბაში „მნათობის“ ჟურნალი, რომელში... დაბეჭდილი იყო შორაპნელი ბლაღო... სტატია მეორე კრებაზედ. უ. კალანდარიშ... მა მამა დეკანოზის ზამრეკლოვის პირით... თხოვა ახსნა შორაპნელ ბლაღოჩინს, რ... ლიც იმ დროს ყრილობაში იყო, იმ კი... თი მუხლებზედ, რომელიც „დროების“ ... იყვნენ მოყვანილი. მასთან მამა დეკანო... შორაპნელ ბლაღოჩინს სთხოვა შერიგებოდ... კალანდარიშვილს.... შორაპნელმა ბლაღო... ჩინმა უ. კალანდარიშვილის პატივსც... სათვის მაინც განუმარტა კრებაში რა... დენიმე მუხლები თავის პასუხისა, რომელ... მცირე ხანში რომელიმე ქართულს ჟურნა... წაიკითხავს უ. კალანდარიშვილი. რაიცა ეხება შერიგებას და მშვიდობის ჩამოგდ... რომელიც შორაპნელ ბლაღოჩინს სთხ... ეს სწორეთ გასაკვირველია. შ. ბლაღ... არასოდეს არ ქონებია და არც აქვს ... ყოფილება უ. კალანდარიშვილთან; მისი სიამოვნებისათვის რომ შორაპნელმა ბლა... ლოჩინმა თავისი სიმართლე არ დაიცვ... იქმნება მისი მხრით უსინდისოება.

ბოლოს მამა დეკანოზმა გამოუცხადა ... რაპნელ ბლაღოჩინს, კალანდარიშვილ... გიერად ვგონებ, რომ იგი ეგზამენაზედ ... წრებოდა და შეეტყო თუ რა წარმატებ... სასწავლებელში სწავლის შესახებ. ... ნელმა ბლაღოჩინმა მისი სურვილი კმაყოფილებით აღასრულა; მაგრამ ... ხა მან შაგირდების გამოცდაში? ... წიგნების დასწავლა ზეპირად შაგირდებ... როგორც წინეთ ამისა იყო; მაგრამ არ... შეიძლება სთქვას კაცმა, ცოტა მაინც ...

...ა არ იყოს სასწავლებელში, რომელსა-... ბ. მიაწერს დროებას.

...ასრულ კრებისა ყრილობამ შეადგინა ...ბლები თავის ბაასობაზე; თაე მჯდომარემ ...ადგინა ყოვლად სამღვდელოს, მაგრამ ...ცდა თუ არა ანუ თანახმა გახდა ყოვ-... სამღვდელო კრების თხოვნას და ამ-...ზე, ჯერეობით არ არის შეტყობილი. იყო ... სხვა, არა დიდ შესანიშნავ საგნებზე ...ობა, მაგრამ ისინი არ არიან ღირსნი აქ ...ერისა. ღმერთმან ქნას კარგათ წაეყვანოს ...რთის სამღვდელოებას საქმე და სასწავ-...ბელშიდაც სწავლა უმჯობესად წასუ-...ყოს.

შ ო რ ა პ ნ ე ლ ი ბ ლ ა ღ ო ჩ ი ნ ი.

...ისის 30.

# რუსეთი

...ით ივნისს შინაგანი საქმეების სამინისტ-...ში გამართულა კამისია, რომელსაც გუ-...ნიის და უეზდის მმართველობის გაწყობა ...ა მიზნათ. მასაქეთია, რაც 1861 გლეხ-...ობის მდგომარეობა შეიცვალა, და 1864-ში ...ობა დაარსდა და სამართლის წესი ახალ ...უძველზე გაიწყო, ადმინისტრაცია (გამგე-...) ძველ რიგზე ველარ დარჩებოდა, ამი-...მ რომ ზოგიერთი მისი უწინდელი სიმარ-...ეები და მოვალეობა ეხლა ზოგი ერობას ... ზოგი მომრიგებელ მოსამართლეებს და ...მომლებს გადაეცათ.—ამისგამო მმარ-...ბლობა ამზადებს ეხლა წესდებულებას, რო-...შიაც გუბერნატორის, გუბერნიის, უეზდის ...ეების და სამსახურის პირების მოვალე-...ა და სიმართლეები იქნება გამოხატული. ...მთავრობას რომ ამ კამისიისთვის დარიგე-... მიუცია, შიგ სხვათაშორის გამოყვა-...ია, რომ ადმინისტრაციაში ერთობა და-...ესო, ადმინისტრაციის პირებს ზოგიერთი ...დებულების გამოცემის ნება მიეცესო, ...ლიციის ადგილებში ამორჩეული პირები ...ორ ერევიანო, და თვითონ პოლიციის ...მგობა ერთ პიროვანი იქმნესო. *Спб. Вѣд.* 165

„დროების“ ოცდა მესამე ნომერში ნახ-...ნები იყო, რომ პეტერბურგში, გამოფენის ...ოს, ფაბრიკანტების კრება იყო გამართუ-...ი. ეხლა, ამ კრებას თავისი საქმეები მოუ-...ვებია, და მის უკანასკნელ ყრილობაზე ...ით გამოჩენილ ზავოდის პატრონს, უფ. პო-...ლეტიკას გამოთქოვების სიტყვა უთქვამს, ...რომელიც ღირსია მკითხველების ყურადღება ...აქციოს.

უფ. პოლეტიკა ამბობს შიგ, რომ მმარ-...თველობამ და გაზეთებმა დიდი შემწეობა ...ცეს ჩვენ კრებასაო და განსაკუთრებითი ...რადღება მიაქციეს მის ყრილობაებსო. სა-...ბედუროთ, ყველაზე ნაკლები მონაწილეო-... ფაბრიკანტების კრებაში მიიღეს... თვითონ ...ბრიკანტებმაო.

მერმე უფ. პოლეტიკამ მუშა ხალხის მდგო-...მარეობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, და სთქვა, ...რომ საზოგადოება ტყულა-უბრალოთ ენდუ-...რება და ლანძღავს ფაბრიკანტებს, როცა მას ... მუშა-ხალხის მდგომარეობა აწუხებსო. მუშე-...ბის მდგომარეობა მხოლოთ მაშინ გაუმჯო-...ბესდება, როცა თვით საზოგადოება ჯერო-...ვან საშვალებას მოიხმარს ამ საქმისთვის; ...ჩემამდი კი ფაბრიკანტებს ბევრი არაფრის ...კეთება შეეძლებათ მუშებისთვისო.

ეს აზრი ცხადი ჭეშმარიტებაა: მუშა-ხალ-...ხის მდგომარეობას ფაბრიკანტების გულ-კე-...თილება ვერა რას უქვს, მინემ თვითონ სა-...ზოგადოება გულმხურვალეთ არ მოინდომებს ...მუშების დახმარებას და მათ ცხოვრებას ახა-...ლ წესით არ გამართავს.—*Спб. Вѣд.* 166.

ამავე კრებას გადაუწყვეტია, რომ მუშების ...მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ სასარგე-...ბლოა მუშების ამხანაგობა (артель, ассоціація *) ხორაგის და მასალების საყიდლათ, ფულის სასესხებლათ ან შესანახავათ, ერთათ სამუშაოთ, და სხვ. და სხვ.,—და დაუწესებია, მმართებლობას ვთხოვოთ ამ ნაირი ამხანაგობაებზე გამოძიება დანიშნოს, და მერმე სამაგალითო წესდებულება გამოსცესო, რომელიც ამხანაგობის და მისი წევრების სიმართლეს და მოვალეობას ხსნიდეს.

მეორე გადაწყვეტილებას მუშების ერთი სოფლიდან ან ქალაქიდან მეორეში გადასვლის სიძნელე მიუღია ყურადღებაში.

ეს სიძნელე, სხვათა შორის, პასპორტების საჭიროებას მოსდევს. კრებას დაუწესებია კარგი იქნება, მუშებს პასპორტები რომ არ მოეთხოვებოდეს და მათ მაგიერათ სამუშაო წიგნი ჰქონდეს სამუდამოთ მიცემული, რომელიც მათ სახელ და გვარს და ვინაობას ამტკიცებდესო. *Спб. Вѣд.* 167.

სერპუხოვის უეზდში, იქაურ მომრიგებელ მოსამართლეს ერთი საქმე გაურჩევია, მაუდის ფაბრიკანტს ქაშტანოვსა და მის მუშებს შუა.—ქაშტანოვი თავის მუშებს, ფულის მაგიერათ, ხორაგს აძლევს თურმე. სამ მუშას ანგარიშის გაწმენდის დროს უთხოვიათ, დაგვიკელით რამე ხორაგის ფასზეო, და როცა ქაშტანოვი ამაზე არ დათანხმებულა, მოსამართლესთან საჩივრათ წასულან.—მოსამართლეს გამოძიება დაუნიშნია, ფაბრიკა დაუთვალიერებია, და უნახავს კაჟიეთ გაქვავებული ფქვილი, რომელსაც ლომით ანტოვდენ. გამოსჩნდა, რომ ამ ფქვილს აჭმევდენ მუშებს.—მოსამართლემ ქაშტანოვს ოცდა ხუთი თუმანი დაადვა ჯარიმათ, და ამის გარდა სამივე მუშისთვის თითო თუმანი მიაცემინა; ფქვილი კი სულ ერთიანათ წყალში ჩაუყრევინებია. *Спб. Вѣд.* 163.

„პეტერბურგის უწყებაები“ ამ შემთხვევას მუშების საქმეს ადარებენ, რომელიც ეხლახანს პეტერბურგის ოლქის სასამართლოში გადაწყდა. ეს გაზეთი ამბობს, რა მიზეზია, რომ მუშების საქმე ისეთ დანაშაულებათ ჩაითვალა, რომ მისი გაშინჯვა და გადაწყვეტა ოლქის სასამართლოს მიანდესო, და ქაშტანოვის საქმე კი უბრალო დანაშაულებათ ჩარიცხეს და მომრიგებელ მოსამართლეს გადააწყვეტინესო? თანასწორობა მუშებსა და ფაბრიკანტებს შუა მაშინ იქნება, როცა ჩარჩებს და ქაშტანოვისთანა პირებსაც წარუდგენენ ხოლმე ოლქის სასამართლოსო. *Спб. Вѣд.* 167.

ტვერის გუბერნიიდან სწერენ „პეტერბურგის უწყებაებს,“ რომ იქაურმა ერობამ ძლიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ხალხის განათლების საქმე, მას აქეთია, რაც ამ საგანზე ზრუნვა მის ხელში ჩავარდაო. სადაც უწინ ორი-სამი სასწავლებელი იყო, იქ ეხლა თითოც ძლივს დარჩაო, და შიგ ისეთი უხეირო მასწავლებლებია, რომ ხალხი ყმაწვილებს აღარც კი აგზავნის სასწავლებლათაო. კორრესპონდენტს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს, რომ თვით გლეხებს გაემართათ სასწავლებლები, და ამ საქმისთვის ცალკე გადასახადი დაედოთ კიდეც. ეხლა კი, ერობის უთავბოლობით და დაუდევნელობით, ამისთანა სასწავლებლებიც დაიხურვენო. *Спб. Вѣд.* 166.

მკითხველს დავიწყებული არ უნდა ჰქონდეს საბრალო ნიკოლენკოს ამბავი, რომელმაც პეტერბურგს თავი მოიკლა, იმიტომ რომ ეგზამენზე ისეთი რამ ჰკითხეს, რაც არ ესწავლათ. ეხლა გაზეთებში მეორე მაგალითიცაა მოყვანილი: პეტერბურგის ახლო, ორანიენბაუმში, თავის მოკვლა მოუნდომებია პეტერბურგის სავაჭრო სასწავლებლის მოწაფეს, იოსებ ავანცოს. ამ ყმაწვილს დაბანჩა უკრავს გულში, მაგრამ ტყვიას მაუდის მეტი ვერა გაუხვრეტია რა. ავანცომ გამოაცხადა, თავის მოკვლა იმიტომ მოვინდომეო, რომ სასწავლებლიდგან გამომრიცხეს, რადგანც ეგზამენი ვერ დავიკავეო. *Спб. Вѣд.* 166.

ოდესის საქალაქო გამგეობას ისეთი გულით მონდომებია პოლიციის ნაწილის გაუმჯობესობა, რომ ახალი პილიცმეისტრისთვის შეიდასი თამანი ჯამაგირი დაუნიშნავს. მაგრამ, „ბირჟის უწყებაებში“ სწერენ, ოდესის მცხოვრებლებმა დარწმუნდენ, რომ ძვირფასი პოლიცმეისტრის ყოლა და კარგი პოლიციის ქონვა, ერთი და იგივე როდი ყოფილაო. დანაშაულობის რიცხვი არ მცირდებაო, მოშორებული კვარტლებში პოლიციის ლანდიც არა სჩანსო, და მთელ ოდესაში ოთხი საქალაქო ექიმის მეტი არ არისო; იმათაც, თანაშემწეები კი არა, ერთის მეტს ფერშალიც არა ყავთო. *Спб Вѣд.* 167.

# ნარევი

პეტერბურგის მომრიგებელ მოსამართლეს, უფ. შუვოვსკის, ერთი შესანიშნავი საქმე გადაუწყვეტია, რომელიც ვაჭრობას და მთელ საზოგადოებას შეეხება. მკითხველს ხშირათ შეხვდებოდა, რუსული გაზეთების უკანასკნელ გვერდზე, სხვა-და-სხვა ვაჭრების გამოცხადება ახალი და იაფი საქონლის მიღებაზე. ერთ ვაჭარს, რომლის მაგაზიას „როზენფელდის“ სახელი ჰქვია, გამოეცხადებია, რომ სხვა საქონელს შუა, სამასი პალტო მომივიდა მშვენიერი ინგლისური მატერიის, იმისთანა, რომ შიგ წვიმა ვერ გააწევსო. ფრანცუზული თეატრის არტისტკა, არსენ დეჰე მაშინვე წავიდა, და ერთი ამისთანა პალტო იყიდა, მაგრამ, როგორც კი ჩაიცვა წვიმიან დღეს, მაშინვე თავიდან ბოლომდი გაიწუწნა, თითქო პალტოს მაგიერათ ლეჩაქი ჰხუროდეს. დეჰე როზენფელდის მაგაზიაში დაბრუნდა, და სველებული ტანსაცმელის საჩვენებლათ და პალტოს გამოსაცვლელათ, ანა და ფულის უკანვე მისაღებათ, მაგრამ მაგაზიის პატრონმა უკან გამოისტუმრა და, როგორც პალტოს გამოცვლის, ეგრეთვე ფულის დაბრუნების უარი უთხრა. მაშინ დეჰე მომრიგებელ მოსამართლესთან საჩივრათ წავიდა და თავისი საჩივრის დამამტკიცებელი საბუთები წარუდგინა თხოვნით, მაგაზიის პატრონს ფული დააბრუნებინეთ ჩემთვისო. მაგრამ მომრიგებელმა მოსამართლემ სხვანაირათ გადაწყვიტა საქმე: იმან როზენფელდის მაგაზიის პატრონს მოქმედებაში „მოტყუება“ დაინახა, რომლისთვის კანონში ცალკე დასჯაა დაწესებული. ამისგამო, იმან დეჰეს სამოსალაქო საჩივარი შეაჩერა, და მაგაზიის პატრონი სისხლის სამართალში მისცა.

„პეტერბურგის უწყებაები“ (168) რომლიდგანაც ჩვენ ეს ამბავი გადმოგვიქვს, ამატებენ, რომ ამ საქმის განხილვას კარგა ძალი ხალხი დაესწროო, და გადაწყვეტილებამ ყველა გააკვირვა და გაახარაო. აქამომდე ზოგიერთი ვაჭრები ისე ხშირათ და დაუსჯელათ ატყუებდენ ხალხს, რომ აღარავის აღარ ეგონა, თუ ამგვარ დატყუებას კანონი დასჯას უწესებდა.

ჰოლლანდიის სატახტო ქალაქში, ჰააგას, გადაიცვალა გამოჩენილი საფრანგეთის პოლიტიკური წინამძღომელი, რესპუბლიკის პარტიის წევრი, ა რ მ ა ნ ბ ა რ ბ ე ს ი.

ბარბესი დაიბადა 1810. მამა მისი შეძლე ვაჭარი იყო, და როცა ის გადაიცვალა, ახალგაზდა არმანი ოცი წლისაც არ იყო. ის მაშინვე პარიჟში მოვიდა, სადაც მისმა ჭკუამ, თავ-გამომეტულებამ და გაბედულებამ ის ძლიერ მაღლე ჩააყენეს რესპუბლიკანელი პარტიის წინამძღომლებსშუა. ლუდოვიკო ფილიპპის მეფობის დროს, ბარბესს არაფერი საშუალება არ დაუზოგავს მისი ტახტიდან გადმოყვანისთვის, ასე რომ 1839-ში ხალხი ააბუნტა პარიჟში; ამისგამო მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. რაგვარათ უყვარდა ხალხს ბარბესი იქედან სჩანს, რომ მისი სიკვდილით დასჯის წინ დღეს მთელმა პარიჟის ახალგაზდობამ და მუშა ხალხმა ქუდ-მოხდილი გაიარა მთელი პარიჟი, და ქუდმოხდილივე მივიდა ხელმწიფის სასახლესთან, ბარბესის პატვაების შესახვეწრათ. ლუდოვიკე-ფილიპმა, სიკვდილით დასჯის მაგიდრათ, ბარბესს სამუდამო ტუსაღობა გაუჩინა. 1848, რესპუბლიკის დაარსებამ ბარბესი გაათავისუფლა, მაგრამ, როცა სამი თვის შემდგომ რესპუბლიკის მმართვა რესპუბლიკის მტერების ხელში ჩავარდა, ბარბესი ხელ-ახლავ არეულობაში გაერია; ამ დანაშაულობისთვის იმას ხელ-ახლავ სამუდამოთ ციხეში ჩასმა გაუჩინეს.

როგორც ერთი გაზეთი ამბობს, ბარბესმა თავის სიცოცხლეში ჩვიდმეტი წელიწადი ციხეში გაატარა, და ამას გარდა თექვსმეტი—მამულიდგან გადენაში.—მისმა წყნარმა, პატიოსანმა ხასიათმა, მისმა დაუღალველმა გაბედულობამ და შრომამ ისეთი სახელი მისცენ ბარბესს, რომ თვით მისი მტრებიც პატივისცემით ახსენებდენ მის გვარს. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მისი პარტიის წევრები მის გულისთვის ცეცხლში და წყალში ჩავარდნას არ დაზოგავდენ.—ბარბესი ძლიერ დაახლოვებული მეგობარი და ამხანაგი იყო ლუი-ბლანის.

# უცხო ქვეყნები

## პრუსსიის გაძლიერება გერმანიაში

(ისტორიული მიმოხილვა)

შტეინი და ახალგაზდობა—მათი შრომა გერმანიის ერთობისთვის—მმართებლობის ყოფაქცევა—შტეინის მინისტრობა—ახალი წესი—შტეინის გადენა—იორკი—ლანდვერის შემოღება—შარნჰორსტი—ვენის კონგრესი—მთავრობის დაპირება—დაპირების ასრულება—... —აზრ-მიცემის და ხელოსნობის ... —„ძმოვნის ერთობა“—1848—პრუსსიის და გერმანიის პოლიტიკური პარტიები—ბისმარკი—1866 სამხრეთის გერმანია—ეხლანდელი პარტიები—პრუსსია და საფრანგეთი.

I

გერმანიის ახალგაზდობა მწუხარე გულით უყურებდა საფრანგეთის დიდებას და გერმანიის აოხრებას. იმან ძალიან კარგათ იცოდა, რომ საფრანგეთს ეს დიდება ერთობამ და ახალმა წესმა მიანიჭა, და რადგანც გერმანიის დაცემის მიზეზი ხალხის განაწილება და უხეირო მმართვა იყო, ახალგაზდობა გულმხურვალეთ ნატრულობდა გერმანიის ერთობის და თავისუფლების დაარსებას.

მგეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წასულ საუკუნეში გერმანიას რამდენიმე მწერლები ჰყავდა, რომელნიც თავიანთ თხზულებებში მამულის და ერთობის სიყვარულს ავრცელებდენ; ამ გვარი მწერალი იყო, მაგალითად, ლესსინგი. ამ ნაირივე აზრებს ავრცელებდენ ეხლანდელი საუკუნის დასაწყისში ფიხტე, შილლერი და ზოგი სხვანიც. მაგრამ, ამ მწერლების აზრები ჯერ-ჯერობით მათ წიგნებში რჩებოდენ: მათი ასრულებაში მოყვანა თავშიაც არავის გვლოდა, მინემ ნაპოლეონ პირველის ჯარმა გერმანია არ აოხრა, და ნაპოლეონის ხელ-ქვეითებმა, თავიანთი სიხარბით და სიამაყით, გერმანიელები მოთმინებიდან არ გამოიყვანეს. მაშინ გერმანიაში რამდენიმე მამულის-მოყვარეები გამოჩნდენ, და მათი მოუსვენარი, თავ-გაწირული შრომით, გერმანიის ერთობის აზრი მწერლების თხზულებებიდგან ცხოვრებაში გადავიდა.

ამათ რიცხვში პირველი ალაგი ბარონ შ ტ ე ი ნ ს უკავია.

II

შტეინი ეხლანდელი საუკუნის დასაწყისიდანვე მტრათ გადაეკიდა საფრანგეთის მთავრობას; და მასაქეთია, ნაპოლეონ პირველის ტახტიდან გადადენამდე, იმას დღე არ გაუტარებია ისე, რომ თავისი გულის წადილის ასასრულებლათ ცოტა რამ მაინც არ მოეხერხებია, და არაფერნაირი საშუალება არ დაუზოგავს გერმანიის ხალხის გასაღვიძებლათ და შესაერთებლათ. ზოგან ბრძანებით, ზოგან შეგონებით და თხოვნით, ხან როგორც მინისტრი და პრუსსიის მმართველი, ხან როგორც მწერალი, ის საომრათ ჯარს ამზადებდა და ფულებს აგროვებდა, თან უწინდელ, დაძველებულ წესს არღვევდა, და მის მაგიერათ ახალს, გონიერს და სამართლიან გაწყობილებას აძლევდა თავის ხალხს. ხშირათ მისი განზრახვა უნაყოფოდ რჩებოდა: ხშირად პრუსსიის ჯარი ომიდან დამარცხებული და გასრესილი ბრუნდებოდა, უფრო ხშირათ თვითონ შტეინი, მეგობრებიდგან მიტოვებული და ქონება წართმეული, ნაპოლეონს და თვითონ პრუსსიის მთავრობას სამშობლოდგან გაუდენია. მაგრამ ის მაინც არ კარგავდა სასოებას, და მაინცა და მაინც გერმანიის ერთობის დაარსებას ალევდა თავის ღონეს და დროს. და როცა მისი სასოწარკვეთილი მეგობრები გერმანიის უიმედო მდგომარეობას და ულონობას ახსენებდენ, ის, იმედის დაკარგვის მაგიერათ, აი რას ფიქრობდა და რას ამბობდა:

„გერმანიაში ახალგაზდობის საყვარელი მწერლები, სწავლულები და პროფესსორები ბევრია; გერმანიის უნივერსიტეტებში ბლომათაა თავგამომეტებული და პატიოსანი სტუდენტების რაზმები. ეს გამოსადეგი საშვალებაა, თუ კი ეხლანდელი თაობა ულელ ქვეშ უნდა სცხოვრებდეს, იმ თაობას მაინც მიუბრუნდეთ, რომელიც ეხლა იზრდება. მოვახმაროთ მის აღზდას რაც კი ხელში საშუალება დაგვრჩენია, გამოვზარდოთ მხნე, მამულისმოყვარე და სწავლული ახალგაზდობა!“

მწერლები და სწავლულები, თავიანთი მხრით

---

*) ამ საგანზე ჩვენმა თანამშრომელმა, უფ. ხკანდელმა, „სასოფლო-გაზეთში“ (NN 10 და 11) დაბეჭდა სტატია „ამხანაგობის ძალა“, რომელზედაც ჩვენ მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ.

უფრო და უფრო აშკარათ ადგებოდენ იმ გზას, რომელიც მათ შტეინმა უჩვენა, და ახალგაზდობა გულ-მხურვალეთ მისდევდა მათ კვალს; ასე რომ გერმანიის გულში ძალიან მალე აინთო მამულის-სიყვარული...

III

ეს გრძნობა ძალიან მალე საქმითაც გამოჩნდა. ყოველთვის, როცა ნაპოლეონს რომელიმე სახელმწიფო ომს უცხადებდა, პრუსსიაში მთელი საზოგადოება ერთ-ხმით თხოულობდა ომში გარევას და თითქმის ძალასაც ატანდა მთავრობას, რომ იმას ნაპოლეონის წინააღმდეგ ომი დაეწყო. ამ შემთხვევაებში, ხალხი და საზოგადოება არაფერს აღარ ზოგავდა, არც ფულს, არც სისხლს, ოღონდ კი პრუსსიას საფრანგეთისთვის რამე დაეკლო.

ამ განზრახვით 1808-ში დაარსდა პრუსსიაში ერთი გასაკვირველი საზოგადოება (Tugendbund) რომელსაც მიზნათ ხალხში ქველისმოქმედების და მამულის სიყვარულის გავრცელება ჰქონდა, და რომელიც, ამის გარდა, ჯაფის ატანას და თავ-გამომეტებას ნერგავდა ახალგაზდობაში. ეს ამხანაგობა მოუსვენარათ ტეხდა ხალხს საფრანგეთის წინააღმდეგ, და გამათავისუფლებელი ომის სურვილს ავრცელებდა საზოგადოებაში.

ნუ დავივიწყებთ, რომ იმ დროს გერმანიაში ამ საქმეების ჩადენა ადვილი რამ როდი იყო: გერმანიას მაშინ ჯერ ნაპოლეონის მთავრობა, ჯარი და პოლიცია აწვა, და მერმე სხვა და სხვა წვრილმანი მთავრები და მეფეები, რომელნიც გერმანიის ერთობას სწორეთ იმ გვარათვე ემტერებოდენ და სდევნიდენ, როგორც მათი მეუფე—ნაპოლეონი. ასე რომ გერმანიის უმჯობესს პირებს ბევრი განსაცდელი, დევნა და ვაი-ვაგლახი უნდა გაევლოთ, იმ აზრის გასავრცელებლათ, რომ გერმანიის დაჩაგრულ და აოხრებულ ხალხს, შეერთების და გათავისუფლების შემდგომ, მშვენიერი და ბრწყინვალე მომავალი მოელის.—ამ აზრის გავრცელებისთვის, ბევრი პატიოსანი და ჩინებული პირი დაღუპულა გერმანიაში....

IV

ვნახოთ ეხლა რას შვრებოდნენ გერმანიის მთავრები და განსაკუთრებით პრუსსიის მეფე, როცა ხალხს და საზოგადოებას ასე მწარეთ ეწვოდა გული ნაპოლეონის უღელქვეშ.

მთავრების უმეტესი ნაწილი ნაპოლეონის კარის წინ, ლაქიებსავით იდგენ, და ხან ენის მიტანით, ხან სულის დამდაბლებით, როგორც მოწყალებას, ხელ-ახლავ მთავრათ დაყენებას, ან და ღირსების და სამთავროს მომატებას სთხოვდენ.—და რასაკვირველია, რომ რაც უნდა მოეთხოვა მათგან ყოვლის-შემძლებელ ნაპოლეონს, ისინი დაუფიქრებლათ შეასრულებდენ მის ნებას, ასე რომ სამშობლოს კი არა, მკვიდრ დედ-მამას არ დაზოგავდენ....

პრუსსიის მეფე ნამეტნათ გამოჩენილი პირი იყო, და ამის გამო ამ გვარ ყოფაქცევას ვერ დაადგებოდა. მაგიერათ, იმან სხვა საშუალება გამოძებნა, თავისი სამეფოს გასადიდებლათ და თავისი უფლების გასაძლიერებლათ.

თავდაპირველათ, როცა საფრანგეთში ცვლილება მოხდა და რესპუბლიკა დაწესდა, პრუსსია ძალიან გულით ჩაეჯიბრა საფრანგეთს, და ბევრჯერ ომიც აუტეხა. მაგრამ ეს ომები მუდამ მისი დამარცხებით თავდებოდა, ასე რომ პრუსსია დაღონებული და ილაჯ-გაწყვეტილი დაეცა, და რადგანც ძალით არა გაუვიდა რა, ხერხს და ოსტატობას მიაწვა.

როცა, მაგალითად, რუსეთი და ავსტრია ნაპოლეონს 1805-ში ეომებოდენ, მთელი პრუსსია და გერმანია თხოულობდა, რომ პრუსსიის მთავრობაც ომში გარეულიყო და ნაპოლეონის წინააღმდეგ თავისი ჯარი გაე-სია.—უეჭველია, პრუსსიის ჯარი რომ რუსეთის და ავსტრიისას დახმარებოდა, საფრანგეთს საქმე გაუჭირდებოდა, და ომი მისთვის არც ისე ადვილათ, და არც ისე სასარგებლოთ გათავდებოდა. პრუსსიის მეფემ კიდევაც დათანხმდა, და რუსეთს პირობაც მისცა, ნაპოლეონს ომს გამოვუცხადებო, მაგრამ, ჯერ იმის შეტყობა მოინდომა რომელი მხარე გაიმარჯვებსო, და რამდენიმე კვირა ცდაში გაატარა, მინამ ნაპოლეონმა აუსტერლიცს არ გაიმარჯვა. მაშინ კი, პრუსსიის მეფემ იმას გამარჯვება მიულოცა, თითქო მუდამ მისი მომხრე და კეთილის მსურველი ყოფილიყო.

მეორეჯერ, როცა რუსეთში დამარცხებული ნაპოლეონი საფრანგეთს დაბრუნდა, და რუსეთთან საომრათ ახალ ჯარს ამზადებდა, პრუსსიის მეფემ მას თავისი მინისტრი, თავადი ჰაცფელდი გაუგზავნა შემდგომი წინადადებით: „მე საფრანგეთის ბუნებითი მომხრე ვარ; მე საშუალება აღარა მაქვს, მაგრამ, იმპერატორი (ნაპოლეონი) ფულს რომ მომცემდეს, მე შემიძლია მის დასახმარებლათ ორმოცდა ათი ან სამოცი ათასი კაცის შეკრება და დაიარაღება.“ იმავ დროს, იმავე მეფემ ნაპოლეონის წინააღმდეგს, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს, ელჩი გაუგზავნა, სახელათ ნაცმერი, რომლის პირით ხელმწიფეს უთვლიდა, რომ თუ რუსეთი ნაპოლეონთან ომის გაგრძელების პირობას მოგვცემს, და ეხლავე რაც ჯარი ჰყავს, გამოგზავნის, რუსეთის მომხრე შევიქნებით.

ამ გვარი ყოფაქცევა ერთხელ და ორჯერ კი არა, ბევრჯერ შემჩნევია პრუსსიის მთავრობას, და რასაკვირველია, რომ ამ ნაირი ყოფაქცევა პრუსსიის ხალხს და მმართებლობას ძალას აკლებდა, ამიტომ რომ უმჯობესი და უკეთესი დრო მუდამ ცდაში, უნაყოფოთ და უსარგებლოთ გადიოდა.

1807, როგორც იყო, საზოგადოებამ მეფეს ძალა დაატანა, და ნაპოლეონისთვის ომი გამოაცხადებინა. პრუსსიას მაშინ თანა-მოლაშქრეთ რუსეთი ჰყავდა; მაგრამ პრუსსიის მთავრობა იმგვარათ მოიქცა, რომ რუსეთის ჯარის მოსვლას არ მოუცადა, და პირდაპირ ნაპოლეონს ჯარი დაუხვედრა. შვიდი კვირის განმავლობაში, ნაპოლეონმა მთელი პრუსსიის ჯარი თითქმის სრულიად გაწყვიტა, და რუსების მოსვლამდი პრუსსიის უმეტესი ნაწილი თავისი ჯარით დაიკავა.

შერიგების შემდგომ, პრუსსიას ნახევარი მამული წაერთო. მაგიერათ, მისი მმართებლობა შტეინს ჩაბარდა, რომელიც მაშინვე დაცემული მამულის ადგენას და ხელ-ახლავ გადიდებას მისდგა.

V

შტეინი მაშინვე მიხვდა, რომ დამარცხებულ და დაცემულ მამულს მხოლოდ შინაგანი წესის და წყობილების შეცვლა და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა აადგენდა. ამ აზრით იმან გადმოიტანა საფრანგეთიდან უმჯობესი კანონები, რომელნიც იქ რევოლიუციამ და რესპუბლიკამ დააწესა. უწინ პრუსსიაში, როგორც საფრანგეთშიაც, მთელი მიწა-წყალი და ტყე-და-მამული აზნაურობას ეკუთვნიდა, და გლეხ-კაცობა ამ აზნაურობას მონათ ჰყავდა. გლეხს და აზნაურს ერთი და იგივე სიმართლე როდი ჰქონდათ: გლეხს არც სამსახურში შესვლა შეეძლო, არც სწავლის მიღება, არც ადგილ-მამულის შეძენა, არც საზოგადო საქმეებში გარევა, ერთი სიტყვით გლეხი, და მასთან ქალაქში მცხოვრებიც, სრულიათ დაჩაგრული და უსიტყვა-პასუხო მონები იყვნენ, ჯერ სახელმწიფოსი, და მერმე ბატონების. საფრანგეთში ეს წესი რევოლიუციამ, დიდი ჯაფით და სისხლის ღვრით, მოშალა; პრუსსიაში კი ამ წესის გადაგდება, საფრანგეთის მაგალითით, შტეინმა მოახდინა.

შეიქნა ის მინისტრად თუ არა, მაშინვე ახალი კანონები გამოსცა, რომლითაც სამუდამოთ ისპობოდა პრუსსიაში ბატონყმობა და აგრეთვე სამუდამოთ არსდებოდა სრული პოლიტიკური თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა აზნაურობას და გლეხ-კაცობას შუა: ყოველ კაცს ერთნაირი უფლება მიეცა სწავლის, ადგილ-მამულის შეძენის, სამსახურში შესვლის, მუშაობის და ალებ-მიცემის; ჩინი, ჩინი, წარმატება, გვაროვნობაზე კი აღარ, ჭკუის და ხასიათის ღირსებაზე დამყარდა. სოფლის და მაზრის საქმეების გამგეობა თვითონ მცხოვრებლების ხელში გადაიცა, და ამ მცხოვრებლებს გამგებლების ამორჩევის, მათზე ზედამხედველობის და მათი გამოცვლის უფლება მიეცათ.

ჯარის შედგენა მარტო გლეხ-კაცობას კი არა, ყველა წოდებაებს დააწვა; ასე რომ თავად-აზნაურებიც, გლეხების და მოქალაქეების მსგავსათ, გამოიწვეოდენ სამსახურში სალდათათ. აფიცრობის და ჩინლდოების მიღების უფლება ყოველ სალდათს მიეცა, თუ კი იმის ღირსი იქნებოდა. ერთი სიტყვით, ხალხის ნივთიერებითი და ზნეობითი მდგომარეობა ერთი ათასათ გაუმჯობესდა, და ამის გამო ხალხის ძალა და სიმხნე ერთი ათასათ გადიდდა.

VI

ამ ცვლილებაების გარდა, შტეინმა განსაკუთრებით ყმაწვილების აღზდას, ჯარის გაძლიერებას და ფულის შეკრებას მიაქცია ყურადღება, და ისე მარჯვეთ წაიყვანა სახელმწიფო საქმეები, რომ პრუსსიამ ძალიან მალე მოიბრუნა სული.—ნაპოლეონმა რომ ეს ამბები გაიგო, მაშინვე თავისი უკმაყოფილება გამოუცხადა პრუსსიის ხელმწიფეს, და მალე შტეინის გამოცვლა მოითხოვა. პრუსსია, რასაკვირველია, უნდა დამორჩილებოდა თავის ძლიერ მეუფეს, და შტეინი მინისტრობას გამოეთხოვა, თუმც მთელი გერმანია, მისი მოქმედებით გაკვირვებული და აღტაცებული, მისმა სამსახურიდან დათხოვამ მძიმეთ შეაწუხა.— მაგრამ შტეინმა არც მაშინ მოისვენა. გამოთხოვების დროს, იმან თავის ხელქვეითებს წიგნი (ცირკულიარი) მისწერა, რომელშიაც თავის აზრებს და განზრახვას ხატავდა, და რჩევას აძლევდა, თუ როგორ უნდა გაეძლიერებიათ „საერთო მამული“, „გარეგანი მტრის“ დასამარცხებლათ და შინაგანი ერთობის და თავისუფლების დასაფუძნებლათ.—ამ წიგნის გარდა, შტეინი ხან პირისპირ მოლაპარაკებით, ხან მიწერ-მოწერით, ხალხს და საზოგადოებას საფრანგეთის წინააღმდეგ აღელვებდა.

გერმანიის მთავრებმა, რომელნიც ნაპოლეონის დარაჯანში ღრიტინობდენ, რასაკვირველია მალე შეატყობინეს ნაპოლეონს შტეინის ყოფაქცევა; გაბრაზებულმა ნაპოლეონმა მაშინვე ბრძანება გამოსცა, რომ „შტეინი საფრანგეთის მტრათ უნდა ითვლებოდესო“ ამის გამო ყოველი მისი ყოფა-ცხოვრება უნდა წაერთოსო, და თითონაც უნდა დატუსაღდეს, თუ კი ჩვენ ჯარს ხელში ჩაუვარდაო. ეს ბრძანება მალე ასრულდებოდა, და შტეინიც ძალიან მალე დაიხვრიტებოდა, რუსეთში რომ არ გადავარდნილიყო, და ალექსანდრე ხელმწიფესთან არ დარჩენილიყო, რამდენიმე წლის განმავლობაში.—

ამის შემდგომ პრუსსია ნაპოლეონის ხელქვეთათ გახდა; ასე რომ, როცა ნაპოლეონი რუსეთში საომრათ მიდიოდა, 1812-ში, იმან ოცი ათასი პრუსსიელები თან წაიყოლა.

VII

ათას რვაას ცამეტში, ნაპოლეონის ჯარი დაბნეულათ ბრუნდებოდა რუსეთიდან საფრანგეთს. მთელი გერმანია აღტაცებაში მოვიდა, რაკი დაინახა, რომ ეხლა დაგვიდგა ჩვენი ჯაბრის ამოყრის და გათავისუფლების დროო.—ყველა, რასაკვირველია, იმას თხოულობდა, რომ პრუსსიის ჯარი რუსეთისას შეერთ-და, და ერთათ [illegible] ნაპოლეო-დამარცხება. მაგრამ პრუსსიის ხელმწიფე, როგორც წინეთ ნათქვამია, ორივე მხარეს ეშ-ტრებოდა, და ვერც ერთს ვერ უდგებო-მაშინ, ნაპოლეონს რომ რუსეთში პრუს-ჯარი ახლდა, იმ ჯარის უფროსმა, ღენერ-მა იორკმა, აშკარათ გადადგა რუს-მხარეზე და თავისი ჯარიც თან გადიყვანა. შემთხვევამ მთელი გერმანია ალტაცებაში იყვანა; მაგრამ შეშინებულმა პრუსსიის ხ-მწიფემ, ნაპოლეონის დასაკმაყოფილებლ-ბრძანება გასცა, რომლითაც იორკი თა-დებობიდგან დაითხოვა, და სისხლის სა-თალს მისცა. იორკმა ყურიც არ გაიპარ-ნა; მაშინვე აღმოსავლეთური პრუსსიის დეპუტატები შეკრიბა, და მათი ნება და-ვით, აგრეთვე როგორც შტეინის რჩევით დახმარებით, მამულის დაცვა და გათავის-ლება მოამზადა.

VIII

იმ მაზრას, რომელშიაც იდგა იორკი თ-ვისი ჯარით, ერთი მილლიონი მცხოვრ-ძლივს ყავდა; უკანასკნელი ექვსი კვირის გ-მავლობაში, ამ მაზრას ოცდა ათი ათასი ს-დათი გაეგზავნა ჯარში; და მისმა დეპუტ-ბმა, იორკის გადგომის შემდგომ, ხელ-ახ-ოცდა ათი ათასი კაცის გამოწვევა გადაწ-ტეს, იორკის ჯარის გასაძლიერებლათ...შ-ინის და იორკის აზრით, მღვდლების, მას-ლებლების და სისხლის სამართლით დ-ლების გარდა, ყოველი კაცი, რომელი-თვრამეტი წლის მეტია, და ორმოცდა ხუ-ნაკლები, მილიციის (ლანდვეერის, ეს-„მამულის-დამცველის“) წევრებათ უნდა-ვლებოდენ. ყველას ორ ორი წელიწადი-და ემსახურა ჯარში, მერმე ლანდვეერში-რიცხებოდა, და მხოლოთ ომის დროს ხ-ახლავ გამოიწვევოდა სამსახურში. ჯარს-თო-იარაღს და სასმელ-საჭმელს სახელმწიფო-ლევდა, დანარჩენ გაწყობილებას, ტანსაც-ლის გარდა, შინელს და ქუდს,— სოფე-ტანისამოსი კი თავათ ჯარს უნდა ეშ-მაგრამ ღარიბ პირებს სოფელი აცმევდა.—

ეს ჯარი თვითონ ირჩევდა თავის უფ-სებს, მაგალითად უნტერ-აფიცრებს, აფიც-და სხვ., ბრიგადის უფროსის გარდა, რომ-საც მმართებლობა ნიშნავდა.

რაკი ლანდვეერის წევრი ორმოცდა-წელს გადაცილდებოდა, ის ლანდშტურ-წევრათ ჩაირიცხებოდა.—ამ ხაირათ შე-სამ ნაირი ჯარი: ჯერ თვითონ ჯარი,-მელსაც ორი წელიწადი უნდა ემსახურა,-ომის წესი ესწავლა; მერმე ჯარში ნამყ-და გამოცდილი ხალხი, თვრამეტი წლ-ორმოცდა ხუთამდე, და ბოლოს მოხუც-ლი ხალხი,—ორმოცდა ხუთი წლიდან, სა-ცამდი. როცა, ომის დროს, ჯარი საკმაო-იქნებოდა, მაშინ ლანდვეერს შეკრიფდენ, თუ ვინიცობაა ლანდვეერიც ვერას გაა-გებდა, მაშინ მას ლანდშტურმს დაახმარებ-ეს წესი იმით იყო კარგი, რომ სახელმწიფოს-ლიანი მცირე ჯარი ყოფნის მშვიდობიანო-დროს, და მაშასადამე ფულიც ცოტა ე-ჯება; ომიანობაში კი იმას დამზადებული-გაწვრთნილი მილლიციის გამოწვევა უადვ-დებოდა, ასე რომ, ამ წესით, პრუსსიას, რომ-საც მაშინ ოთხ მილლიონ ნახევარი-ც-რები ჰყავდა (ქალი და კაცი), ორი თვის-მავლობაში ორას ორმოცდა ათი ათასი კ-ჯარის შედგენა შეეძლო.

ეს წესი დააარსეს შტეინმა, იორკმა და პ-სიის დეპუტატებმა.—ამ წესის გაწყობა,-ლება და სრულებაში მოყვანა მ ო ხ დ ა-დღეში.

ამ დროს, ალექსანდრე ხელმწიფემ შ-ინი პრუსსიის ხელმწიფეს გაუგზავნა, იმ-ზრახვით, რომ შტეინი ნაპოლეონთან ო-დაწყებას გაუბედვინებს თავის ხელმწიფე-შტეინის გარდა, დეპუტატებმაც იმავე გ-რახვით მოციქული გაუგზავნეს, და როგო-იქნა, დიდი წვალების და მოციქულობის-დგომ, პრუსსიამ ნაპოლეონს ომი გამოუცხ-

(შემდეგი იქნება.)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილ